საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გადაწყვეტილება

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

მარიკა არევაძე - კოლეგიის თავმჯდომარე

მარინე ცუცქირიძე - კოლეგიის წევრი

ინგა ნებიერიძე - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: მ. დ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 19.06.2023

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 057/23

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ს. ჯ.-ს /სიითი №/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ს. ჯ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას 2023 წლის 19 ივნისს საჩივრით მომართა მ. დ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ს. ჯ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში მიმდინარეობდა სისხლის სამართლის საქმე, სადაც თავად ჰქონდა დაზარალებულის სტატუსი და ბრალდებულის ინტერესებს იცავდა ადვოკატი ს. ჯ.. აღნიშნულ საქმეზე მოსამართლემ გამოიტანა დაუსაბუთებელი განაჩენი, რომელიც არ ემყარებოდა მტკიცებულებებს და გაამართლა ბრალდებული.

1.3 მოსამართლის მიერ განაჩენის გამოტანის შემდეგ, 2023 წლის 15 ივნისს, ადვოკატმა ს. ჯ.-მ თავის კლიენტთან და ზუგდიდის რაიონული სასამართლოს დაცვის თანამშრომელთან ერთად, სასამართლოსთან მდებარე მაღაზიაში შეიძინა სურსათი, და სურსათით დატვირთული 2 ჩანთა გადასცა დაცვის თანამშრომელს მოსამართლისთვის გადასაცემად.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, დაცვის თანამშრომლისათვის სურსათით დატვირთული ჩანთების გადაცემის ფაქტს მასთან ერთად შეესწრნენ: მადონა პერტაია; მედეა ყალიჩავა; ნატო დარსალია. აღნიშნული არაკანონიერი ქმედებით ადვოკატმა ს. ჯ.-მ მოსამართლეს მადლობა გადაუხადა, უკანონო განაჩენის გამოტანისთვის.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა ს. ჯ.-მ 2023 წლის 26 ივლისს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, სადაც მიუთითა, სისხლის სამართლის საქმეში, სადაც საჩივრის ავტორს მ. დ.-ს ჰქონდა დაზარალებულის სტატუსი, ის წარმოადგენდა ბრალდებულის ინტერესებს. სასამართლომ საქმეზე გამოიტანა გამამართლებელი განაჩენი.

2.2 საქმის განხილვის პროცესში, დაზარალებული მხარე მის მიმართ გამოხატავდა აშკარა უკმაყოფილებას როგორც სხდომის დარბაზში, ისე სხდომის დასრულების შემდეგ და მხარემ მოსამართლისგან და მანდატურისაგან მიიღო გაფრთხილება. მას აღნიშნულზე ჰქონდა მშვიდი რეაქცია და მისი აზრით, მისმა მშვიდმა მიდგომამ და მოსამართლის მიერ გამოტანილმა განაჩენმა, გამოიწვია მ. დ.-ს გაბრაზება, რაც გამოიხატა ეთიკის კომისიაში უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი საჩივრის წარდგენაში.

2.3 ადვოკატი განმარტავს, რომ საჩივრის ავტორის პრეტენზია - რომ ადვოკატმა, სასამართლოს დაცვის თანამშრომელს მოსამართლისათვის გადასაცემად გადასცა სურსათით დატვირთული ორი ჩანთა, არ შეესაბამება რეალობას.

IV სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი ს. ჯ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი /სიითი№/ სპეციალიზაცია - საერთო სამართალი.

3.2 მ. დ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2023 წლის 19 ივნისს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2023 წლის 15 ივნისს. შესაბამისად, დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის კანონით განსაზღვრული ხანდაზმულობის 5 წლიანი ვადა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2).

4. შემაჯამებელი დასკვნა:

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ს. ჯ.-ს მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონითა (მუხლი 32) და დებულებით (მუხლის 30.1) გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია ადვოკატ ს. ჯ.-ს მიმართ გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა დაარღვია საქმის კანონიერი საშუალებებით წარმოების პრინციპი, როდესაც მან სასამართლოს დაცვის თანამშრომელს მოსამართლისათვის გადასაცემად გადასცა სურსათით დატვირთული ორი ჩანთა.

5.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ ს. ჯ.-ს მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

5.2.1 საადვოკატო საქმიანობის პრინციპია - კანონიერება (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 3.ა).

5.2.2 ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 6.1).

5.3 კლიენტის ინტერესების წარმომადგენლობისას, ადვოკატი შებოჭილია კანონითა და პროფესიული ქცევის წესებით. პროფესიის კორპორაციული არსიდან გამომდინარე პროფესიის თვითრეგულირებადი ხასიათი, ადვოკატს აკისრებს ვალდებულებას, საკუთარი ქცევით ხელი შეუწყოს პროფესიის პრესტიჟსა და განვითარებას. საადვოკატო საქმიანობის განხორციელებისას, ადვოკატისთვის, როგორც მართლმსაჯულების განმახორციელებელი ერთ-ერთი პროფესიის წარმომადგენლისთვის, უპირატესად გასათვალისწინებელია კანონიერების პრინციპის დაცვა. შესაბამისად, ადვოკატმა თავისი ძირითადი მოვალეობის შესრულებისას - კლიენტის ინტერესების დაცვისას, საადვოკატო მომსახურება უნდა განახორციელოს კანონისა და პროფესიული ეთიკის ფარგლებში. მნიშნელოვანია, რომ ადვოკატმა უზრუნველყოს კლიენტის მხოლოდ კანონიერი ინტერესების, კანონიერი საშუალებებით დაცვა და მიუხედავად ადვოკატის პროფესიის მთავარი მიზნისა, რაც სპეციალური ცოდნის მქონე პირის მხრიდან, კლიენტისთვის საადვოკატო მომსახურების გაწევას გულისხმობს, კლიენტის ინტერესები არ დააყენოს, კანონისა და პროფესიული ეთიკის ნორმებზე მაღლა.

5.4 საპროცესო კოლეგიამ საჩივრის ავტორის პრეტენზია, რომ ადვოკატმა საქმეზე გამამართლებელი განაჩენის დადგომის შემდეგ, მოსამართლისთვის მადლობის გადასახდელად, სასამართლოს დაცვის თანამშრომელს მოსამართლისათვის გადასაცემად გადასცა სურსათით დატვირთული ორი ჩანთა, შეაფასა კანონიერების პრინციპისა და კლიენტის კანონიერი საშუალებებით დაცვის ეთიკური ვალდებულების ფარგლებში.

5.5 „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-16 მუხლის მიხედვით „დისციპლინური წარმოების მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებით გაეცნონ საქმის მასალებს და გადაიღონ მათი ასლები, განაცხადონ აცილებები, წარადგინონ მტკიცებულებები, ეთიკის კომისიას მიმართონ შუამდგომლობებით, მისცენ ახსნა-განმარტებები და წარადგინონ საკუთარი მოსაზრებები დისციპლინური წარმოების დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე“, ხოლო ამავე დებულების მე-17 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, „მტკიცებულებებს დისციპლინურ კოლეგიას წარუდგენენ მხარეები“. საქმისწარმოების განხილვის ეტაპზე, ეთიკის კომისია გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობს მხარეთა პოზიციებიდან და მათ მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან გამომდინარე.

5.6 ეთიკის კომისია მტკიცების ტვირთის შეფასებისას ეყრდნობა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 ივნისის განჩინებას №2ბ/183-11, რომლის მიხედვით „მტკიცების ტვირთს მატერიალური კანონი განსაზღვრავს, კერძოდ, ეს ის შემთხვევებია, როდესაც კანონით გათვალისწინებული შემადგენლობის არსებობის პრეზუმფცია მოქმედებს, ხოლო კანონით გათვალისწინებული შემადგენლობისგან განსხვავებული ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი იმას ეკისრება, ვინც საკანონმდებლო წესრიგიდან არსებულ გადახრას ამტკიცებს“. ამასთან, სსსკ-ის 102.1 მუხლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.

5.7 მხარეთა შორის უდავოა, რომ ადვოკატი ს. ჯ. იცავდა კლიენტის ინტერესებს სისხლის სამართლის საქმეში, სადაც დაზარალებულს წარმოადგენდა საჩივრის ავტორი. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით, საქმეზე დადგა გამამართლებელი განაჩენი. საჩივრის ავტორის პრეტენზიით, ადვოკატმა საქმეზე გამამართლებელი განაჩენის დადგომის შემდეგ, მოსამართლისთვის მადლობის გადასახდელად, სასამართლოს დაცვის თანამშრომელს მოსამართლისათვის გადასაცემად გადასცა სურსათით დატვირთული ორი ჩანთა. კოლეგია განმარტავს, რომ ვინაიდან მხარეებს აქვთ განსხვავებული პოზიციები, სადავო ფაქტის მტკიცების ტვირთი ეკისრება მომჩივანს. საჩივრის ავტორმა ფაქტის დასადასტურებლად კომისიის წინაშე იშუამდგომლა მოწმის სახით მადონა პერტაიას; მედეა ყალიჩავას და ნატო დარსალიას გამოკითხვის შესახებ, რომლებიც მისი ინფორმაციით, შეესწრნენ ადვოკატ ს. ჯ.-ს მიერ სასამართლოს დაცვის თანამშრომლისათვის პროდუქტებით დატვირთული ორი ჩანთის გადაცემის ფაქტს. საპროცესო კოლეგიამ მოწმეთა გამოკითხვის შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა, რადგან მოწმეთა მიერ ფაქტის დადასტურების შემთხვევაშიც, ადვოკატის მიერ დაცვის თანამშრომლისათვის პროდუქტით დატვირთული ჩანთების გადაცემა არ ადასტურებს, ამ ჩანთების მოსამართლისადმი კუთვნილებას. საჩივრის ავტორს კოლეგიისათვის სადავო ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულება არ წარმოუდგენია, შესაბამისად, ადვოკატის მიერ კლიენტის არაკანონიერი საშუალებებით დაცვის ფაქტი არ დგინდება.

5.8 საპროცესო კოლეგიის განმარტებით, საჩივრის ავტორმა ვერ დაადასტურა ადვოკატის მიერ ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 3.ა და 6.1 მუხლის დარღვევა, რის გამოც არ არსებობს ადვოკატ ს. ჯ.-ს მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

III სარეზოლუციო ნაწილი

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32-ე, 33-ე მუხლებით; დებულების 40.1 მუხლით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №057/23 ადვოკატ ს. ჯ.-ს მიმართ /სიითი №/ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /მარიკა არევაძე/

კოლეგიის წევრი: /მარინე ცუცქირიძე/

კოლეგიისწევრი: /ინგა ნებიერიძე/